KA030175127037416

№ 01-14983 04 / აგვისტო / 2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს
სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის
ნინო ოდიშარიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

ინფორმაციისათვის მოგახსენებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიმდინარე წლის 20 ივლისის № 01-193/მ ბრძანების საფუძველზე, 23-28 ივლისს სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ნატო ჩაფიძე მივლინებით იმყოფებოდა პოლონეთის რესპუბლიკაში. ვიზიტის მიზანი იყო პოლონეთის დედოფლის წმ. იადვიგას სახელობის ფონდის პროექტის - „შშმ პირთა პროფესიული და საზოგადოებრივი რეინტეგრაციის ცენტრის მოდელის შექმნისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაში“ მონაწილეობის მიღება და მათთან არსებული ოკუპაციური თერაპიის, პროფესიული აქტივობის თერაპიული ცენტრების, პროფესიული აქტივობის საწარმოების, კლუბების, საზოგადებრივი ინტეგრაციის ცენტრების და სოციალური საწარმოების მონახულება. პროექტის მიზანია, შშმ პირთა დღისა და სარეაბილიტაციო ცენტრებში გარემოს ადაპტაციისა და მცირე სახელოსნოების განვითარების საკითხებში პოლონეთის პრაქტიკის გაზიარება.
მოგეხსენებათ, რომ საგურამოს ბავშვთა სახლის ბაზაზე, რომელის აღდგენაზე მუშაობს სოციალური მომსახურების სააგენტო და ლიბერთი ბანკი, იგეგმება ევროპული დონის დღის ცენტრისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მცირე სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა, ასევე მომავლისთვის დაგეგმილია ამ ტერიტორიაზე მცირე სახელოსნოების (მებაღეობა, ლანდშაფტის დეკორატიული მოწყობა, თიხის სახელოსნო, კატერინგი - სამზარეულო საქმე და ა.შ.) განვითარება.
სამომავლოდ იგეგმება პოლონელი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში, ასევე სასწავლო ვიზიტი პოლონეთში. მიღებულმა ინფორმაციამ საქართველოს მხარეს ხელი უნდა შეუწყოს შშმ პირთა რეაბილიტაციის და ინტეგრაციის ცენტრის მოდელის შექმნაში.

დანართი: სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსის მოხსენებით ბარათი და მოხსენება „შშმ პირთა პროფესიული რეაბილიტაციის მხარდაჭერის სისტემა პოლონეთის საზოგადოებრივი და პროფესიული რეინტეგრაციის ცენტრებში.“

პატივსცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნინო ოდიშარია